საქართველოს მთავრობის

დადგენილება №258

2024 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის №325 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/06/2018, 300160070.10.003.020640) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 მუხლი:

„მუხლი 3. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ატმოსფერულ ჰაერში ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ნარჩენების თანაინსინერაციისთვის“ — დანართ III-ის მოქმედება შეჩერდეს 2030 წლის 1 მარტამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**